

# პრეს რელიზი

## მიწის მმართველობა საქართველოში

ევროკავშირმა ახალი პროექტი დააფინანსა საქართველოში მიწის მმართველობის შესახებ ინფორმაციის და ცნობიერების ამაღლების ხელშესაწყობად

თბილისი, 11 დეკემბერი, 2013

მდგრადი განვითარების მისაღწევად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანებსა და მიწას შორის მჭიდრო კავშირს, რომელიც გამყარებულია მიწის მმართველობის გამართული სისტემით. **მწვანე ალტერნატივა** იწყებს პროექტის განხორციელებას სახელწოდებით: **მიწის მმართველობის გაუმჯობესება საქართველოში მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშესაწყობად**. პროექტი ორწლიანადნახევარი გაგრძელდება; ევროკავშირმა პროექტის მხარდასაჭერად 150.000 ევრო გამოყო.

პროექტი მიზნად ისახავს:

- სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს, სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის საჯარო პოლიტიკის შესახებ დიალოგის ხელშეწყობას;
- სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების მიერ ადვოკატირებისთვის გაწეული ძალისხმევის ეფექტიანობის ამაღლებას.

პროექტის დასასრულისთვის, ორგანიზაცია გეგმავს შემდეგი შედეგების მიღწევას:

- შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ ინფორმაცია ქვეყანაში არსებული მიწის მმართველობის სისტემის შესახებ და ასევე, ჩამოყალიბებული საერთო ხედვა გასატარებელ ღონისძიებებზე მიწის კარგი მმართველობისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშესაწყობად;
- შესაბამისი დაინტერესებული მხარეები უკეთ იქნებიან გათვითცნობიერებული მიწის კარგი მმართველობისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის სფეროში გატარებული პოლიტიკებისა და გამოყენებული პრაქტიკის შესახებ;
- სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს შორის გაუმჯობესდება ურთიერთთანამშრომლობა და ისინი, ადვოკატირების გზით, უკეთ მიაღწევენ დასახულ მიზნებს;
- მედია უკეთ გააშუქებს მიწის მმართველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის:

ქეთი გუჯარაიძე

პროექტის კოორდინატორი

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართ

ტელ.: (995 32) 229 27 73; ფაქსი: (995 32) 222 38 74

[www.greenalt.org](http://www.greenalt.org)



პროექტს ახორციელებს  
ასოციაცია მწვანე  
ალტერნატივა

ფალიაშვილის 1. 27/29, 0179  
თბილისი, საქართველო  
ტელ.: (+995 32) 229 27 73  
ფაქსი: (+995 32) 222 38 74  
[www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

ევროკავშირის  
წარმომადგენლობა  
საქართველოში

ნინო ჩხეიძის 38, 0102  
თბილისი, საქართველო  
ტელ.: (+995 32) 294 37 63  
ფაქსი: (+995 32) 294 37  
[www.eeas.europa.eu/delegations/georgia/index\\_en.htm](http://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm)

<https://www.facebook.com/LetsMeetEurope>

ევროკავშირის ადმინისტრაციის ორგანო

“ევროკავშირი 28 წევრი სახელმწიფოს გაერთიანებას. მისი წევრები შეთანხმდნენ, რომ ცოდნის, გამოცდილებისა და რესურსების ერთმანეთისთვის გაზიარების გზით თანდათანობით საერთო მომავალს შექმნიდნენ. 50 წლის მანძილზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გაერთიანებით სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ერთიანი სივცე, შეიქმნა, თუმცა ამ პროცესში ქვეყნებმა კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლებები შეინარჩუნეს. ევროკავშირი მის საზღვრებს მიღმა მცხოვრები ადამიანებისა და სახელმწიფოებისთვის სწორედ ამ მიღწევებისა და ფასეულობების გაზიარებას ცდილობს.”